

## **„დაურ კოვეს და ვლადიმერ ნეკრასოვის შეხვედრა“**

ოკუპირებული აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში დე-ფაქტო საგარეო უწყების ხელმძღვანელს დაურ კოვესა და ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის სავაჭრო წარმომადგენელს, ვლადიმერ ნეკრასოვს, შორის შეხვედრა შედგა.

შეხვედრას ესწრებოდნენ, დე-ფაქტო მინისტრთა კაბინეტის აპარატის უფროსი დავით სანგულია და დე-ფაქტო საგარეო უწყების სტრატეგიული თანამშრომლობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ადგურ ჩეგია.

ე.წ. შეხვედრაზე განიხილეს ოკუპირებული აფხაზეთის და რუსეთის ფედერაციის ურთიერთთანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები. აგრეთვე, აღნიშნეს სამუშაო შეხვედრების ჩატარების გაგრძელების აუცილებლობა, რომლებიც მიმართული იქნება ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავებისაკენ.

---

11.04.2018 ვრცლად იხილეთ რუსულენოვან ვებგვერდზე <http://mfaapsny.org/ru/allnews/news/visits/daur-kove-provel-vstrechu-s-torgovym-predstavitelem-rossii-v-abkhazii-vladimirom-nekrasovym/>

## **„სამეთაურო-სამტაბო სწავლებები აფხაზეთში“**

ოკუპირებული აფხაზეთის თავდაცვის სამინისტრო სარეზერვო დანაყოფების და ნაწილების სამეთაურო-სამტაბო სამობილიზაციო სწავლებას ატარებს.

როგორც დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს პრეს-ცენტრი იუწყება, ე.წ. სწავლებები 2018 წლის 11-13 აპრილს ჩატარდება, რომელშიც ჩართულია რეზერვის მე-6 მსროლელთა ბრიგადა, მსროლელთა მე-2 პოლკი და ქ. გუდაუთის ე.წ. სამხედრო კომისარიატი.

ე.წ. პრეს-ცენტრის განცხადებით, სამხედრო წვრთნების მიზანია რეზერვის პირადი შემადგენლობის სავალე მომზადების, ბრძოლისუნარიანობის და სხვა სამხედრო შენაერთებთან კოორდინირებული მოქმედების დონის ამაღლება.

---

11.04.2018 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <http://mdapsny.org/news/2018/04/13/komandno-shtabnyie-mobilizacziionnyie-ucheniya-s-rezervnyimi-chastyami-i-podrazdeleniyami-mo-ra/>

## **„აფხაზი დეპუტატების ვიზიტი ყირიმში“**

ოკუპირებული აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატების დელეგაცია ე.წ. სამხრეთ რუსეთის (ЮПРА) საპარლამენტო ასოციაციის მე-18 კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ქ. იალტაში ჩავიდა.

აფხაზურ ე.წ. საპარლამენტო დელეგაციაში, რომელსაც ბატალ ტაბალუა ხელმძღვანელობდა, შედიოდნენ გივი კვარჩია და ასტამურ თარბა.

ე.წ. კონფერენცია, რომელიც გასტანს 2 დღეს, ჩატარდება ყირიმის დე-ფაქტო პარლამენტის და არაღიარებული ყირიმის სახელმწიფო საბჭოს მეთაურის, ვლადიმერ კონსტანტინოვის, თავმჯდომარეობით.

ე.წ. კონფერენციის ფარგლებში დაგეგმილია სამხრეთ რუსეთის საპარლამენტო ასოციაციის კომიტეტების სხდომების ჩატარება, რომლებშიც შედიან ოკუპირებული აფხაზეთის დეპუტატების დელეგაციის წევრები.

ამის გარდა, ჩატარდება სამხრეთ რუსეთის მე-18 ე.წ. კონფერენციის პლენარული სხდომა, რომელზეც განიხილავენ სანატორულ-კურორტული და ტურისტული კომპლექსის განვითარების გეგმებს და რეკომენდაციებს.

აღსანიშნავია, რომ სტატიაში ოკუპირებული აფხაზეთის საპარლამენტო დელეგაცია ნახსენებია, როგორც სამხრეთ რუსეთის საკანონმდებლო ორგანოების დელეგაციების წარმომადგენლები. (აფხაზეთის ა/რ იუსტიციის დეპარტამენტი)

ე.წ. კონფერენცია ტარდება დე-ფაქტო ყირიმის რესპუბლიკაში 2018 წლის 12-13 აპრილს.

---

12.04.2018 ვრცლად ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე <https://crimea-news.com/politics/2018/04/10/390380.html>

### **„ედუარდ მანარგიას პრეს-კონფერენცია“**

2018 წლის 12 აპრილს, ოკუპირებული აფხაზეთის შსს-ს პრეს-ცენტრი აქვეყნებს დე-ფაქტო შსს-ს საპასპორტო სამმართველოს უფროსის პრეს-კონფერენცას, სადაც ედუარდ მანარგია საუბრობს, ოკუპირებულ აფხაზეთში, ე.წ. ძველი პასპორტების ახლით შეცვლის პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

ედუარდ მანარგიას თქმით, დღევანდელი დღისთვის, მოქალაქეებისგან მიღებულია 71 000 განცხადება და მათგან დაბეჭდილი და გაცემისათვის მზადაა 65 900 ერთეული ე.წ. ახალი პასპორტის ბლანკი.

დე-ფაქტო საპასპორტო სამმართველოს უფროსი მოსახლეობას ახსენებს, რომ ე.წ. ძველი ტიპის პასპორტების ვადა 2018 წლის 31 დეკემბერს იწურება და აგრეთვე, თხოვნით მიმართავს მოსახლეობას, რომ გაიტანონ გასაცემად გამზადებული ე.წ. პასპორტები, რომელთა რაოდენობაც 6 600 მიაღწია.

ვიდეო სიუჟეტის დასასრულს ისაუბრა დე-ფაქტო შსს-ს შტაბის ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა ედუარდ სერგინავამ, რომელმაც აუწყა მოსახლეობას მობილურ ტელეფონზე ახალი აპლიკაციის შესახებ, რომლის მეშვეობითაც დაინტერესებულ პირებს სახლიდან გაუსვლელად შეეძლებათ ე.წ. პასპორტის შესახებ ინფორმაციის მიღება.

---

12.04.2018 იხილეთ ვიდეო <https://www.youtube.com/watch?v=RCz9Q25Lkqo&feature=youtu.be>

### **„გარი არშბა აფხაზეთის შსს-ში თანამშრომელთა შემცირებაზე საუბრობს“**

ოკუპირებული აფხაზეთის შს მინისტრმა, გარი არშბამ, ჟურნალისტებთან შეხვედრისას დე-ფაქტო შსს-ს პირადი შემადგენლობის შემცირებაზე ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ მოსალოდნელი ცვლილებები იგეგმება იმ თანამშრომლების ხარჯზე, რომლებიც რუსეთის პენსიას ღებულობენ და დაამატა, რომ ცვლილებები მაქსიმალურად უმტკივნეულოდ ჩატარდება.

გარი არშბას განმარტებით, რუსეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის დადებული უწყებათაშორისო „ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ“ შეთანხმების საფუძველზე, ოკუპირებული აფხაზეთის შსს-ს თანამშრომლები მიიღებენ რუსეთის ფედერაციის შსს-ს თანამშრომელთა შესაბამის ხელფასს (დღევანდელი დღისთვის აფხაზი ე.წ. სამართალდამცავების ხელფასი 12-13 000 რუბლს შეადგენს).

დე-ფაქტო შს მინისტრის თქმით, საკადრო ცვლილებები 2017 წელს უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ეს ცვლილებები გადაიდო.

ოკუპირებულ აფხაზეთში, დღევანდელი დღისთვის, 250 პენსიონერი თანამშრომელი მუშაობს, რომლებიც რუსეთის პენსიას ღებულობენ და გარი არშბას თქმით, მათი შემცირება უმტკივნეულოდ უნდა განხორციელდეს.

---

13.04.2018 ვრცლად იხ.რუსულენოვან ვებგვერდზე <http://abkhazinform.com/item/7260-garri-arshba-v-mvd-mogut-byt-sokrashcheniya-no-oni-dolzny-byt-bezboleznennymi>

## **„აფხაზეთის პარლამენტის სპიკერმა აბორტის აკრძალვის შესახებ ისაუბრა“**

2018 წლის 13 აპრილს, პრეს-კონფერენციაზე, რომელზეც შეაჯამეს დე-ფაქტო პარლამენტის ერთი წლის მუშაობის შედეგები, პარლამენტის ე.წ. თავმჯდომარემ აბორტის აკრძალვის შესახებ ისაუბრა.

ვალერი კვარჩიას თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. კანონი ემსახურებოდა დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებას, მე-5 მოწვევის პარლამენტმა ე.წ. კანონის მიღება იჩქარა და დაამტა, „ჩვენ ვიჩქარეთ და შედეგების ბოლომდე გაუაზრებლად მივიღეთ გადაწყვეტილება. რადგან მივიღეთ, ახლა ჩვენ უნდა დავაკვირდეთ, თუ რა სიძნელეებს ვაწყდებით პრაქტიკაში და მათ აღმოსაფხვრელად შევიტანოთ ცვლილებები კანონში, რომლებიც სამედიცინო ჩვენების საფუძველზე, მიცემს ქალს ორსულობის შეწყვეტის უფლებას“.

შეგახსენებთ, რომ მე-6 მოწვევის დე-ფაქტო პარლამენტის ერთერთ სხდომაზე, დეპუტატი ალხას ჯინჯოლია ე.წ. კანონში „ჯანდაცვის შესახებ“ ცვლილებების შეტანის ინიციატივით გამოვიდა.

**13.04.2018 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <http://abkhaz-auto.ru/news/3/7784/>**

## **„არასამთავრობო ორგანიზაცია „ალაშას“ დამფუძნებლის ინტერვიუ“**

ოკუპირებულ აფხაზეთში ბოლო დღეებში აგორებულ სკანდალს არასამთავრობო ორგანიზაცია „ალაშას“, დამფუძნებელი ზურაბ ლაკერბაია ეხმაურება. აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაცია ოკუპირებულ აფხაზეთში ახორციელებს ჯანდაცვის სფეროში დახმარების პროექტებს.

ზურაბ ლაკერბაიას თქმით, „საქმე ეხება სასწრაფო დახმარების მანქანის შეძენას, რომელიც ძალიან ჭირდება ჩვენს ქვეყანას და რომლის ექსპლუატაციის შესასწავლად ჩვენ საქართველოში გავგზავნეთ ექიმები“.

ლაკერბაიამ განმარტა, რომ მისმა ორგანიზაციამ დადო ხელშეკრულება ჰოლანდიურ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რომელიც სპეციალიზირდება სამედიცინო ტექნიკის მიწოდებაზე. აღნიშნულ ორგანიზაციას ოკუპირებულ აფხაზეთში უნდა ჩამოეყვანა სასწრაფო დახმარების თანამედროვე მანქანა, რომლის ფასიც, ლაკერბაიას თქმით, 50 000 ევროს შეადგენს.

„აფხაზეთში არ გვყავს სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ მოცემულ აპარატურაზე მუშაობას. ჰოლანდიელებმა კატეგორიულად მოითხოვეს, რომ აპარატურაზე მომუშავე სპეციალისტები გაეცნონ მას და დაათვალიერონ“-ამბობს ლაკერბაია.

ბრალდებებზე პასუხად ლაკერბაიამ განაცხადა, „რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბოლო წლის განმავლობაში აფხაზეთში იყო პრობლემები მძიმე ავადმყოფების ტრანსპორტირებისას და ამიტომაც, საჭიროდ ჩავთვალე აღნიშნული სასწრაფო დახმარების მანქანის შეძენა“.

სტატიაში ვკითხულობთ, „აღნიშნული მანქანა ჩამოიყვანეს ქ. თბილისის სპეციალიზირებულ ცენტრში, სადაც არიან სპეციალისტები, რომლებიც კარგად იცნობენ ამ აპარატურას და ამიტომაც, მოცემულ მანქანაზე მუშაობის შესასწავლად, ჩვენ მივაველინეთ თბილისში ერთი ექიმი, სამი ექთანი და მძღოლი“.

ინტერვიუს დასასრულს ლაკერბაია ამბობს, ეს სკანდალი ააგორეს მათ ვისაც სურს, ოკუპირებულ აფხაზეთში სასწრაფო დახმარების თანამედროვე მანქანის ჩამოყვანის შესახებ მოლაპარაკების ჩაშლა და დაამატა, „თუ აფხაზეთში იქნება უმაღლესი ხარისხის სამედიცინო ტექნიკა, შესაძლოა, რომ საქართველოში მკურნალობის მსურველთა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდეს“.

**14.04.2018 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <http://abkhaz-auto.ru/news/3/7785/>**

## **„ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის ინტერვიუ“**

ოკუპირებული აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა რომან დბარმა ფოლადისთავა ორაგულის და ცისარტყელა კალმახის აკლიმატიზაციისა და ამ პროცესთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ ჟურნალისტებთან ისაუბრა.

მისი თქმით, 2013 წელს, სკურჩის ტბაში ჩაშვებული იყო აღნიშნული თევზების სახეობის 15 000 ლიფსიტა და 5 წლის გავლის შემდეგ, ისინი უკვე გაზრდილები, ქვირილობის პერიოდში გამოვლენილ იქნენ ტბაში. რომან დბარმა დაამატა, რომ შავი ზღვის ორაგულისგან განსხვავებით, რომელსაც ქვირილობის პერიოდი სექტემბრიდან ოქტომბრამდე აქვს, ფოლადისთავა ორაგული ქვირილობს გაზაფხულზე, ზუსტად ამ დროს და მიემართება მდინარეებისკენ. სწორედ მცირეწლიან მდინარეებში თევზი ბრაკონიერების იოლი ნადავლი ხდება, რადგანაც პატარა წყალში ისინი კარგად ჩანან და მათ სანადირო თოფით ესვრიან.

რომან დბარმა აღნიშნა, რომ თევზებს უნდა მიეცეს მოშენების საშუალება, რითაც შეიქმნება მეთევზეებისთვის დამატებითი რესურსი და ხელი შეეწყობა ახალი ელემენტის დამკვიდრებას ადგილობრივ ფაუნაში.

---

16.04.2018 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <https://sputnik-abkhazia.ru/radio/20180416/1023657957/dbar-vyrashhivanii-lososya-v-rekax-abxazii-est-opasnost-cto-ne-zakrepitsy.html>

### **„აფხაზეთში იხსნება სავალდებულო დაზღვევის პოლისების პუნქტები“**

ქ. სოხუმის პირველ პოლიკლინიკაში სავალდებულო დაზღვევის პოლისების გაცემის პუნქტი გაიხსნა. ამის შესახებ ოკუპირებული აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები იუწყებიან.

შეგახსენებთ, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში სავალდებულო დაზღვევის პოლისების გაცემის პუნქტების გახსნა ხორციელდება რუსეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის, „აფხაზეთში მუდმივად მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების დაზღვევის ორგანიზაციისა და რუსეთის ფედერაციის სამედიცინო დაწესებულებებში მათთვის სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ“. დადებული ორმხრივი ე.წ. შეთანხმების საფუძველზე, რომელსაც ხელი 2017 წლის ზაფხულში მოეწერა. 2018 წლის ე.წ. ბიუჯეტში, მიზნობრივი პროექტების ფარგლებში, გათვალისწინებულია, სავალდებულო დაზღვევის პოლისების გაცემის პუნქტების ორგანიზების დაფინანსება.

ჯანდაცვის დე-ფაქტო მინისტრის მოადგილემ, ალისა არმინბამ, ჟურნალისტებთან ისაუბრა აღნიშნული პუნქტების მუშაობის რეჟიმის შესახებ. მისი განცხადებით, „აფხაზეთში მუდმივად მცხოვრები რუსეთის მოქალაქეებისთვის სავალდებულო დაზღვევის პოლისების გაცემას განახორციელებენ რუსეთის სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლები. ყოველ პუნქტში იმუშავენ 2 ადამიანი, რომლებიც დღეში 40 ადამიანის მიღებას შეძლებს. პოლისები გაცივმა 15 კალენდარული დღის განმავლობაში და ის, რუსეთის მოქალაქეს, აძლევს უფლებას, მიიღოს სამედიცინო დახმარება რუსეთის ფედერაციის ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში“.

---

16.04.2018 ვრცლად იხილეთ რუსულენოვან ვებგვერდზე <http://www.apsnypress.info/news/punkty-vydachi-polisov-oms-v-abkhazii-gotovy-k-rabote/>

### **„რუსული პენსიების ინდექსაცია აფხაზეთში“**

რუსეთის საპენსიო ფონდის პრეს-სამსახურის განყოფილების ხელმძღვანელის, პაველ ლომანოვის ინფორმაციით, ოკუპირებული აფხაზეთის პენსიონერების, რომელთაც რუსეთის მოქალაქეობა გააჩნიათ, პენსია, 2018 წლის 1 აპრილიდან 2,9 %-ით გაიზარდა და დაამატა, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები რუსეთის პენსიონერების პენსიაზე გავრცელდება ისეთივე ინდექსაცია, როგორც რუსეთის დანარჩენ ტერიტორიაზე.

აგრეთვე, რუსეთის საპენსიო ფონდში განაცხადეს, რომ 2017 წლის დასასრულისთვის, ოკუპირებულ აფხაზეთში, ცხოვრობდა 32 900 რუსეთის პენსიონერი და რუსეთის პენსიონერთა რაოდენობით, არალიარებული რესპუბლიკა, იკავებს მესამე ადგილს იმ ქვეყნებს შორის, რომლებშიც რუსეთის პენსიონერები ცხოვრობენ.

16.04.2018 ობ. რუსულენოვან ვებგვერდზე <https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20180416/1023682277/indeksaciya-rossijskix-pensij-vab-xazii-kak-i-vezde.html>

18.04.2018